

სსიპ ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლის  
ინგლისური ენის პედაგოგის  
ბელა მარდიანის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს ინგლისური ენის დიალოგის  
სწორად წარმართვის ელემენტარული უნარ-ჩვევების გამოყენება

2018- 2019 წელი

## სარჩევი

|   |       |
|---|-------|
| შესავალი.....   | გვ4   |
| თავი I .....  | გვ 5  |
| 1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა                                     |       |
| 1.2 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ.                                |       |
| 1.3 საკვანძო სიტყვები   |       |
| 1.4 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება                                 |       |
| თავი II .....   | გვ 6  |
| 2.1 პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა                |       |
| თავი III ლიტერატურის მიმოხილვა. ....                                | გვ 7  |
| 3.1 დიალოგური მეტყველების ზოგადი თავისებურებები                     |       |
| 3.2 ინტერაქციული სწავლება – მრავალმხრივი დიალოგი                    |       |
| 3.3 როლური თამაშების გამოყენებით დიალოგური მეტყველების განვითარება  |       |
| 3.4 თეატრალური წარმოდგენა, როგორც როლური თამაშების ერთ-ერთი სახეობა |       |
| თავი IV   |       |
| კვლევის დიზაინი.....  | გვ 10 |
| 4.1 კვლევის მიზანი  |       |
| 4.2 კვლევის ამოცანები   |       |
| 4.3 კვლევის მთავარი საკითხი   |       |
| 4.4 საკვლევი ჯგუფი  |       |
| 4.5 კვლევის მეთოდები  |       |
| თავი V ცხრილებითა და გრაფიკებით მიღებული შედეგების ანალიზი.....     | გვ 11 |
| 5.1 დიალოგური მეტყველების საწყისი დონის გამოვლენა და ანალიზი        |       |

5.2 ზოგადი კომუნიკაციური და ფსიქოლოგიური ბარიერების გამოვლენა და ანალიზი

**თავი VI ინტერვენციები.....გვ 15**

6.1 კვლევის მეთოდების განხილვა და ინტერვენციების დაგეგმვა

6.2 ინტერვენციების ანალიზი

6.3 სპექტაკლზე მუშაობის ეტაპები:

6.4 შესრულებული კლასგარეშე სამუშაოს-სპექტაკლის”კონკრეტული პრაქტიკული შედეგების ანალიზი

**თავი VII.....გვ 24**

7.1 კვლევის ვადები:

7.2 კვლევის მიზნები

7.3 რეკომენდაციები

7.4 კვლევის ნაკლოვანებები

7.5 დასკვნა

**ბიბლიოგრაფია.....გვ 25**

**რეფლექსია.....გვ 26**

**დანართები.....გვ 28**

**შესავალი**

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს თბილისის 172-ე საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევა ჩატარდა ამავე სკოლის უცხო ენის პედაგოგის ბელა მარდიანის მიერ მე-5 კლასში. კვლევის საჭიროება გამოიწვია იმან, რომ უცხო ენის სწავლებისას ერთ-ერთი სავალდებულო და საჭირო აქტივობა არის მოსწავლეებისათვის დიალოგური უნარ-ჩვევის ჩომოყალიბება. ამ სკოლის მე-5 კლასში კი ვერ ხერხდებოდა ზეპირი კომუნიკაცია, მოსწავლეთა დიალოგურ რეჟიმში ჩართვა, რაც აუცილებელია ზოგადად ურთიერთობისათვის, მოსმენის კულტურის განვითარებისათვის და ნებისმიერი პრობლემის ცივილურ ფარგლებში გადაჭრისათვის.

საკვლევი საკითხი იყო დიალოგიური მეტყველების განვითარება მოსწავლეებში. ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის მიმოხილვა, პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგია და აღწერილია კვლევის ეტაპები:

- პრობლემის ინდენტიფიცირება;
- პრობლემის გამოწვევი მიზეზები;
- ინტერვენციების დაგეგმვისა და განხორციელების შეფასება.

პრობლემის კვლევისას საშუალება მომეცა შემემუშავებინა თანამედროვე მეთოდები, რომლებიც ბავშვებს საშუალებას მისცემდა მარტივად, ფაქტობრივად თამაშით, განვითარებინათ დიალოგის მართვის უნარი.

კემოდ, ჩემს მიერ გამოყენებული იყო დიალოგიური მეტყველების განვითარების ტრადიციული და არატრადიციული მეთოდები: ტრადიციული მეთოდის ფარგლებში ბავშვები სწავლობდნენ დიალოგურ კლიშეებს, სავარჯიშოების სახით. ხოლო შემდგომ ამ შესწავლილი ტექსტებით ვანვითარებდით ინსცენირებულ დიალოგებს.

კვლევაში წარმოდგენილი ჰიპოტეზის თანახმად, თუ უცხო ენის სწავლების პროცესში დიალოგური კლიშეების გარდა გამოვიყენებთ ინსცენირებას, ეს საშუალებას მოგვცემს ერთის მხრივ გავზარდოთ დიალოგური მეტყველების სწავლების ეფექტურობა, ხოლო მეორეს მხრივ მოსწავლეებს მოვუხსნათ ენობრივი ბარიერი.

## **თავი I**

### **1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა**

პრაქტიკული კვლევა ჩავატარე მე-5 კლასში, ეს არის ენის სწავლების მეხუთე წელიწადი.. მიუხედავად იმისა რომ მოსწავლეებს აქვთ საკმარისი ლექსიკური და გრამატიკული მარაგი, მათ უჭირთ ზეპირმეტყველება: საჭირო სიტყვების მოძებნა, აზრის ნათლად ჩამოყალიბება, არ აქვთ დიალოგის მართვის უნარები. ამდენად ამჯობინებენ პასიური მსმენელის როლში ყოფნას, კითხვის დასმის შემთხვევაში, მათი პასუხი არის გარმატიკულად გაუმართავი, ზოგიერთი კი პასუხს მშობლიურ ენაზე იძლევა, ზოგიერთი არ შემოდის დიალოგში, ზოგიერთი კი საერთოდ არ იჩენს ინიციატივას.

აქედან გამომდინარე გამიჩნდა პრაქტიკული კვლევის ჩატარების სურვილი, რათა გამერკვია ჩემი მოსწავლეების წინაშე არსებული გამოწვევები და მეპოვა პრობლემის გადაჭრის გზები. ასევე გამერკვია რითაა განპირობებული მოსწავლეების თავშეკავება დიალოგში მონაწილეობისას და რა უშლით ხელს რომ თამამდ გამოთქვან საკუთარი აზრი.

### **1.2 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ**

172-ე სკოლაში, სადაც მე ვმუშაობ ინგლისური ენისა და ლიტერატურის პედაგოგად, ინგლისური ენა ისწავლება პირველი კლასიდან, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ სკოლაში ენის სწავლებას გასაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ამდენად არ გვაქვს ინგლისური ენის კაბინეტი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ინტენსიური სწავლება, გამოყენებული იქნებოდა ვიდეო და აუდიო მასალა. შესაბამისად, მოსწავლეებს არ ყოფნით ინგლისურენოვანი გარემო, სადაც გაივლიდნენ სასაუბრო ენის პრაქტიკას.

### 1.3 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება

ცნობილია რომ ინგლისური ენა არის საერთაშორისო ენა , მსოფლიოში ამ ენაზე 340 მილიონი ადამიანი ლაპარაკობს. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ევრო-ამერიკული კურსის აღების შემდეგ ინგლისური ენა გახდა მნიშვნელოვანი, წარმატებული კარიერისათვის.

ამდენად თავად, ენის სწავლების აქტუალობიდან გამომდინარე, დადგა საკითხი, სკოლაში შეგვექმნა ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეები შეძლებდნენ სალაპარაკო და დიალოგური უნდარების განვითარებას. რაც მნიშვნელოვანია მათი შემდგომი პიროვნული და კარიერული წინსვლისათვის.

### 1.4 საკვანძო სიტყვები

დიალოგური მეტყველება, სტიმული, რეაქცია, რეკლიკა, ურთიერთობა, ინსცენირება, კომუნიკაცია, ინტერაქცია, სიტუაციის მოდელირება.

## თავი II

### 2 პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა

პრაქტიკული კვლევის არსი მდგომარეობს დაწყებით კლასებში ენის სწავლების პრობლემების მიგნებასა და მათი აღმოფხვრის მეთოდების შემუშავების მცდელობასთან.

საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, გამოვავლინე საკვლევი პრობლემა- ეს გახლავთ ის გარემოებები რომლებიც დაწყებით კლასებში მოსწავლეებს არ აძლევს ენის შესწავლის მყარ საფუძველს, კოლეგებთან თანამშრომლობით და საერთო ძალისხმევით გამოვიკვლიეთ ამ პრობლემის სავარაუდო მიზეზები, ვაკვირდებოდით მის დინამიკას, და გავაანალიზეთ საბოლოო შედეგი.

კვლევის შედეგად აშკარა გახდა, რომ დაწყებითი კლასებიდანვე სასკოლო სივრცეში სალაპარაკო გარემოს შექმნა, ბავშვებს უვითარებს დიალოგური მეტყველების უნარებს, ამდროულად ათავისუფლებს კოპლექსებისგან, ხდებიან უფრო თავდაჯერებულები და კომუნიკაბელურები.

### თავი III ლიტერატურის მიმოხილვა.

#### 3.1 დიალოგური მეტყველების ზოგადი თავისებურებები.

როგორც ცნობილი ლინგვისტი, უცხო ენების სწავლების მეთოდის ერთერთი ფუძემდებელი, ევიმ პასოვი აღნიშნავს, ყველანაირი ურთიერთობა თავისი არსით დიალოგურ ხასიათს ატარებს. დიალოგში მონაწილეს იღებს ორი მხარე: მხარე რომელიც საუბრობს და მხარე რომელიც ისმენს. დიალოგური მეტყველება ანვითარებს ბავშვებში ისეთ უნარებს, როგორებიცაა მოსმენა, აღქმა და გააზრება, მოსაუბრის სიტყვებზე რეაგირება და მის კითხვებზე სწორი, ადეკვატური პასუხების გაცემა. ყველა პედაგოგი ვალდებულია ასწავლოს მოსწავლეს დიალოგური ურთიერთობის მსვლელობის სწორად ორგანიზება: მოსწავლეს შეუძლია მეწყვილის გამოთქმის სტიმულირება სხვადასხვა კითხვების საშუალებით; თხოვნის საშუალებით; მტკიცების საშუალებით;

დიალოგურ მეტყველებას აქვს კომუნიკაციური, ფსიქოლოგიური და ლინგვისტური თავისებურებები. ის შედგება რეაგირებადი რეპლიკებისაგან. დიალოგისათვის დამახასიათებელია ემოციურობა, ექსპრესიულობა და სპონტანურობა; დიალოგური მეტყველების მსვლელობის დროს ყველა მონაწილეს უწევს ფსიქოლოგიური ამოცანის დაძლევა, ანუ უნდა ახსოვდეს ყველა წინა დიალოგები, რომ არ გაიმეოროს თავისი და თანამოსაუბრის სიტყვები, უნდა შეაფასოს მიღებული ინფორმაციის ოდენობა და მოცულობა, შეძლოს დროულად ჩასვას თავისი სიტყვა, (ამავდროს არ დაარღვიოს ურთიერთობის ეტიკეტი.) მოუსმინოს საკუთარ თავს, ყურადღება მიაქციოს საუბრის სწორად წარმართვას, შეძლოს სიტუაციურ ურთიერთობიდან ინფორმაციის მოპოვება და გააზრება.

დიალოგური მეტყველების ერთ-ერთი მთავარი ფსიქოლოგიური თვისებაა მისი **სიტუაციურობა**. დიალოგური მეტყველება ითვლება უპირატესად სიტუაციურად, რადგან ხშირად მისი შინაარსი შეიძლება გასაგები იყოს მხოლოდ იმ სიტუაციის გათვალისწინებით, რომელშიც ის წარმოიქმნა.

აღსანიშნავია, ის რომ სწავლის დროს გვინტერესებს არა ნებისმიერი სიტუაცია, არამედ მხოლოდ ის, რომელიც აიძულებს ურთიერთობას ერთ მოსწავლეს მეორესთან.

დიალოგურ მეტყველებას უნდა ახლდეს მოტივაცია. მოსწავლეში ბუნებრივად უნდა იწვევდეს სურვილს და მოთხოვნილებას გამოთქვას თავისი აზრი, გამოხატოს თავისი

ემოციები და, არა უბრალოდ, დაიზეპიროს ტექსტი , რასაც ჩვენ ხშირად ვხვდებით სკოლებში,.. და ამის საშუალებას იძლევა ინტერაქციული სწავლება.

### **3.2 ინტერაქციული სწავლება – მრავალმხრივი დიალოგი**

ინტერაქციული სწავლება დიალოგური სწავლების ფორმაა, რომლის მიმდინარეობისას ხორციელდება ინტერაქცია, როგორც მოსწავლეებსა და მასწავლებელს, ასევე მოსწავლეებს შორის. ინტერაქციული მეთოდების გამოყენება მასწავლებლისგანაც და მოსწავლეებისგანაც გარკვეულ უნარებსა და გამოცდილებას ითხოვს. ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ მასწავლებელმა შეძლოს დათმოს დომინანტის როლი. ეს აუცილებელია, რომ საგაკვეთილო სივრცეში მოსწავლეებს თავიანთი როლისა და მნიშვნელოვნების განცდა გაუნჩდეთ. ეს ერთბაშით არ იქცევა მყარ განცდად, ამიტომაც ინტერაქციული სწავლება უნდა იყოს მიდგომა, რომელსაც მასწავლებელი შეგნებულად აღიარებს, აქვს პოზიტიური დამოკიდებულება ამ მიდგომისადმი და სისტემატურად იყენებს. გარკვეულ დროში ეს მიდგომა შედეგს გამოიღებს და დავინახავთ, როგორ აისახება ეს გამოცდილება მოსწავლეების ქცევაზე. მათ განუვითარდებათ საკუთარი აზრის ფორმულირებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარები. ისინი ღია და გულწრფელი დიალოგებისათვის იქნებიან მზად. იგრძნობენ პასუხისმგებლობას კლასში მიმდინარე პროცესებზე, პასუხისმგებლობას ერთმანეთის წარმატებებზე. მათ უვითარდებათ თავდაჯერებულობა, რაც აისახება კიდევ აკადემიურ მოსწრებაზე.

### **3.3 როლური თამაშების გამოყენებით დიალოგური მეტყველების განვითარება.**

ცნობილია, რომ დიალოგი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს აითვისონ მეტყველების უნარ-ჩვევები. ხოლო როლური თამაშები ავლენს ამ უნარების გამოყენების რეალურ მოტივებს ურთიერთობის დროს.

ამიტომ, როლური თამაშები ბავშვებს საშუალებას აძლევს შეძენილი ცოდნა რეალურ სიტუაციებში გამოიყენონ. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ ეპოქაში ყველა ასაკის ადამიანს აქვს თამაშის - რეალობის იმიტირების, "თეატრალიზების" მოთხოვნილება.

როლური თამაშების გამოყენება ახალისებს სასწავლო პროცესს და უფრო საინტერესოს ხდის მას მოსწავლისათვის, ხელს უწყობს საკითხის ღრმა წვდომას, მის ემოციურ



დონეზე გათავისებებს, მასალის ხანგრძლივი დროით დამახსოვრებას, სასწავლო პროცესში მაქსიმალურად ჩართვას და მოსწავლის კომუნიკაციის დონის ამაღლებას. სათამაშო სიტუაციიდან გამომდინარე, მოსწავლეები უნდა მოქმედებდნენ შეთანხმებულად, ზუსტად უნდა განსაზღვრონ თამაშის მონაწილეთა რეაქცია, უნდა დაეხმარნონ ერთმანეთს. შედეგად, შედარებით სუსტი მომზადების მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ დაძლიონ უხერხულობა და სიმორცხვე. დროთა განმავლობაში სრულად ჩაერთონ თამაშში.

როლური თამაში ოთხი ეტაპისგან შედგება:

1) **მოსამზადებელი**, რომელში მასწავლებელი შეიმუშავებს სცენარს და ადგენს თამაშის წესებს.

2) **განმარტებითი**, რომელში მასწავლებელი შეიმუშავებს გაკვეთილის მიზნებს და შეარჩევს გარკვეულ სათამაშო სიტუაციას.

3) **თამაშის პროცესი**, ესაა თავად როლური თამაშის პროცესი, სადაც მოსწავლეები გაითამაშებენ არჩეულ სიტუაციებს როლების მიხედვით.

4) **ანალიზი და შეჯამება**. ამ ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლეები აანალიზებენ ჩატარებულ სამუშაოს და აფასებენ როგორც თავის ასევე სხვის ნამუშევარს, მასწავლებელი თავის მხრივ აფასებს კონკრეტულ როლებს და აძლევს მოსწავლეებს რეკომენდაციებს.

როლური თამაშების წყალობით გაკვეთილზე ხდება ცოცხალი კომუნიკაცია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, ეს კი მოსწავლეებს უღვიძებს ინტერესს უცხო ენის შესწავლისადმი, და ისინი მეტი ხალისით ასრულებენ იმ სავარჯიშოებს და დავალებებს, რომლებსაც მათ მასწავლებელი აძლევს.

### **3.4 თეატრალური წარმოდგენა, როგორც როლური თამაშების ერთ-ერთი სახეობა .**

უცხო ენის დაუფლებისა და პრაქტიკული გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია სავარჯიშოების და დავალებების სწორად და სისტემატიურად შესრულება, მაგრამ ბავშვებისათვის ენის შესწავლის ეს მოდელი დამღლეელია. ისინი ხდებიან პასიურნი და ფაქტობრივად კარგავენ ენის შესწავლის სურვილს.

ბავშვებში ენის თავისუფლად ფლობისათვის კი აუცილებელია შევქმნათ გარკვეული სიტუაციები, სადაც ისინი დიალოგურ რეჟიმში წარმართავენ საუბარს. ამის საუკეთესო საშუალებაა **თეატრალური წარმოდგენები**. რეპეტიციების დროს ტექსტების არაერთხელ

გამეორება და ამასთან მოსმენა იწვევს ერთის მხრივ უცხო ენის მიმართ შიშის და კომპლექსების მოხსნას და მეორეს მხრივ ავტომატური მეტყველების უნარის გამომუშავებას. კრიტიკულ სიტუაციაში ბავშვები ავლენენ გასაოცარი ომპროვიზაციის უნარს. თეატრალური წარმოდგენები საშუალებას აძლევს თავისუფალი ფორმით დაიმახსოვრონ და გაამყარონ ცოდნა საახალისო ფორმით.

## **თავი IV კვლევის დიზაინი**

### **4.1 კვლევის მიზანი**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ინგლისურ ენაში დიალოგური მეტყველების პრობლემების მიზეზების შესწავლა, მათი დადგენა , გამოკვლევა , მოსწავლეთა სამეტყველო უნარ-ჩვევის განვითარება და გამრავალფეროვნება, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა - განხორციელება, მიღწეული შედეგების შეფასება. საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების, კომუნიკაციური კომპეტენციის გაუმჯობესება.

### **4.2 კვლევის ამოცანები:**

- 1) V კლასის მოსწავლეების დიალოგური მეტყველების მდგომარეობის გამოვლენა;
- 2) დიალოგის მეთოდოლოგიის განვითარების შესწავლა და სავარჯიშოთა სისტემის შემუშავება , რომელიც მიმართული იქნება მოსწავლეთა დიალოგური უნარების განვითარებისაკენ;
- 3) შემუშავებული სავარჯიშოების გამოყენება სასწავლო პროცესში.
- 4) რეალური ურთიერთობის პირობების შექმნა.
- 5) მოსწავლეების ნამუშევრების შედეგების ანალიზი

### **4.3 კვლევის მთავარი საკითხი: პრობლემის გამოწვევი მიზეზები და მათი გადაჭრის გზები.**

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად ჩამოვყალიბე შემდეგი ქვეკითხვები:

- იცავენ თუ არა მოსწავლეები სამეტყველო ეტიკეტის ნორმებს საუბრის დროს?

- შეუძლიათ თუ არა მეწყვილის გამოთქმის სტიმულირება სხვადასხვა კითხვების საშუალებით?
- შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს შესწავლილი ლექსიკურ-გრამატიკული მასალის ფარგლებში და სხვა და სხვა სიტუაციაში დიალოგების დაწყება, მართვა და დასრულება?

#### 4.4 სამიზნე ჯგუფი

1. 172-ე საჯარო სკოლის უცხო ენის პედაგოგები

2. 172-ე საჯარო სკოლის V ე კლასის მოსწავლეები.

#### 4.5 კვლევის მეთოდები:

1. უცხო ენის მოსწავლეების ანკეტირება, რომელმაც საშუალება მომცა დამედგინა, თუ რაზე უნდა გამეკეთებინა ფოკუსირება.

საჭიროდ ჩავთვალე ინგლისური ენის კათედრის პედაგოგებთან გასაუბრება, რომლებიც მუშაობენ პარალელურ კლასებთან . ჩვენ განვიხილეთ ისეთი საკითხი, როგორცაა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური ბარიერები ინგლისურ ენაზე საუბრის დროს. (დანართი 1)

#### 2. მოსწავლეების წერილობითი გამოკითხვა:

ჩემს მიერ შედგენილი კითხვარების საშუალებით ჩავატარე ანონიმური ანკეტირება, რათა გამეგო რა სირთულეები აქვთ მოსწავლეებს დიალოგის მართვის დროს.(დანართი 2)

**3.ფოკუსირებული დაკვირვება-** ამ მეთოდს ვიყენებდი მთელი კვლევის განმავლობაში. გაკვეთილზე ვაკვირდებოდი როგორ მუშაობდნენ მოსწავლეები დიალოგურ კლიშეებზე და ამის საფუძველზე როგორ ადგენდნენ საკუთარ დიალოგებს. დაკვირვების კრიტერიუმები წარმოვადგინე ცხრილის სახით. (იხ. დანართი 3 ) ცხრილში მონაცემები შემქონდა კვლევის პირველ ეტაპზე და განხორციელებული ინტერვენციების შემდეგაც, რათა დამეზუსტებინა გამოიღო თუ არა შედეგი ინტერვენციებმა.

## თავი V ცხრილებითა და გრაფიკებით მიღებული შედეგების ანალიზი

### 5.1 დიალოგური მეტყველების საწყისი დონის გამოვლენა.

ექსპერემენტში მონაწილეობა მიიღეს V კლასის მოსწავლეებმა. პირველ ეტაპზე მიცემული იყო შემდეგი დავალება:

#### დიალოგის შედგენა (არჩევით)

ა) მაღაზიაში

ბ) არდადეგებზე

გ) სკოლაში

დ) ექიმთან

მოცემული დავალების მეშვეობით გავარკვევთ მოსწავლეთა დიალოგური მეტყველების ჩამოყალიბების დონე. (ზეპირ ფორმაში ან რეალურ ურთიერთობის პროცესში)

ნაშრომები ფასდებოდა შემდეგი კრიტერიუმებით:

1. რეპლიკის მოცულობა (გამოთქმის შეზღუდვა)
2. რეპლიკის შესაბამისობა და პასუხის რეაგირების დროულობა.
3. მეტყველების ლექსიკური მრავალფეროვნება.

#### პირობითი მონიშვნები:

«+» – პასუხი შეესაბამება კრიტერიუმს

«+ –» – პასუხი ნაწილობრივ შეესაბამება კრიტერიუმს

«–» – პასუხი არ შეესაბამება კრიტერიუმს

დონე 1- მაღალი დიალოგური მეტყველების უნარი

დონე 2-საშუალო დიალოგური მეტყველების უნარი

დონე 3- დაბალი დიალოგური მეტყველების უნარი

## მოსწავლეთა დიალოგური მეტყველების საწყისი დონის ანალიზი

ამგვარად, ექსპერემენტის შედეგებმა გვაჩვენეს, რომ მეხუთე კლასის მოსწავლეებს, დიალოგური მეტყველების უნარი აქვთ:


მაღალი- 17%

საშუალო- 17%

დაბალი- 66%

სამიზნე ჯგუფის ნამუშევრების ანალიზის დროს დადგენილი იქნა , რომ მოსწავლეთა 66% საუბრის დროს არ იყინებს თავაზიან სიტყვებს, შეცდომებს უშვებენ წინადადების შედგენის დროს, სუსტად აქვთ გამოხატული დიალოგის მართვის ხელოვნება, კითხვების დასმის უნარი , არ შეუძლიათ ურთიერთობის დროს სხვადასხვა რეპლიკების გამოყენება , ნახევარზე მეტი საერთოდ ვერ ასწრებს დიალოგის რეჟიმში თანამოსაუბრის კითხვის გააზრებას. კლასის მხოლოდ 17 %-ს აქვს დიალოგური მეტყველების მაღალი დონე.

## დიალოგური მეტყველების საწყისი დონის გამოვლენა.




### 5.2 ზოგადი კომუნიკაციური და ფსიქოლოგიური ბარიერების გამოვლენა.

პრობლემაში ჩაღრმავებისა და უკეთ გაანალიზების მიზნით, შევიმუშავე კითხვარები. მოსწავლეთა ანონიმურ ანკეტირების პროცესში უნდა გამერკვია, თუ რა უშლიდათ მათ ხელს ზეპირმეტყველებაში და გამერკვია მოსწავლეთა შორის დიალოგის მართვის პრობლემები. (იხ. დანართი 2) ანკეტირების შედეგები ასეთია: 100% გამოკითხულიდან მოსწავლეთა 87% თვლის რომ ინგლისური ენის შესწავლა მნიშვნელოვანია, მაგრამ მათი უმრავლესობა ვერ ახერხებს აზრის სწორად ჩამოყალიბებას ინგლისურ ენაზე.


გრცხვენია გამოვთქვა საკუთარი აზრი ინგლისური ენის გაკვეთილზე?- ამ შეკითხვაზე გამოკითხულ მოსწავლეთა 33% უპასუხა დადებითად. გამოკითხულთა 17% განიცდის შფოთვის უცხო ენაზე საუბრისას, რადგან ეშინია შეცდომის დაშვების, 20% არამშობლიურ ენაზე საუბრის დროს გრძნობს დისკომფორტს, 30% -საკუთარი შესაძლებლობების არ სჯერა.

## ზოგადი კომუნიკაციური და ფსიქოლოგიური ბარიერები



ანკეტირებისას ასევე გავარკვიე რამდენად ხშირად საუბრობენ მოსწავლეები ინგლისურ ენაზე, ანუ რამდენად ხშირად უწევთ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება: შედეგები ასე გადანაწილდა: 9% საუბრობს ყოველდღიურად , 60% თითქმის არასდროს საუბრობს ინგლისურ ენაზე, 31% -ს იშვიათად უწევს ინგლისურად საუბარი.

## სკოლის გარეთ ინგლისურად საუბრის სიხშირის გრაფიკული გამოსახულება



### 5.3 მოსწავლეთა კითხვარების შედეგების ანალიზი

ანალიზიზ შედეგად დადგინდა, რომ დიალოგის მართვის დროს მოსწავლეთა პრობლემები განპირობებულია იმით, რომ მოსწავლეების 76%-ს სკოლის გარეთ არ აქვთ ინგლისურ ენაზე საუბრის პრაქტიკა, ისინი ვერ ახერხებენ გაკვეთილის ფარგლებში მიღებული ცოდნა პრაქტიკულად განამტკიცონ, რასაც თავისთავად მოყვება შედეგად ის, რომ ბავშვებს მალე ავიწყებათ კლასში ნასწავლილი ლექსიკურ-გრამატიკული მასალა. გარდა ამის აღმოჩნდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ბავშვებს ისაუბრონ ინგლისურ ენაზე. ესაა შიში, შფოთვა, სირცხვილის გრძნობა და თავდაუჯერებლობა.

## თავი VI ინტერვენციები

### 6.1 კვლევის მეთოდების განხილვა და ინტერვენციების დაგეგმვა

ინტერვენციებზე მუშაობა დავიწყე თემით -“როგორ წარვმართოთ დიალოგი?“ დისკუსიის დროს მოსწავლეებმა მიიღეს შემდეგი რეკომენდაციები:



-სამეტყველო კულტურა - არა უბრალოდ კარგად საუბარია, არამედ ეფექტური ურთიერთობის უნარიცაა-გააჩნია ვისთან, რა მიზნით, სად და რას ლაპარაკობ.

-განათლებული ზრდილობიანი ადამიანი ადვილად პოულობს სალაპარაკო თემას.

ბეჯითი და მრავალფეროვანი კითხვა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ და გამოვხატოთ საკუთარი აზრები.

შეკითხვაზე: გსურთ, თუ არა ისწავლოთ დიალოგის სწორად მართვა, მთელმა კლასმა თანხმობა განაცხადა.

ჩატარებული დისკუსიის შემდეგ მივიღე სასურველი შედეგი, მოსწავლეებში გაჩნდა ინტერესი მოცემულ თემასთან დაკავშირებით და დავიწყე ინტერვენციის შემდეგ ეტაპზე მუშაობა:

**ფოკუსირებული დაკვირვება** -ერთი თვის განმავლობაში მოსწავლეებს ეძლეოდათ სიტუაციურ-საკომუნიკაციო სავარჯიშოები, რომლებიც მიმართული იყო დიალოგური მეტყველების გასაუმჯობესებლად. სიტუაციურ-საკომუნიკაციო სავარჯიშოები ტარდებოდა თამაშის სახით. მეცადინეობა იყო მიმართული ურთიერთობის სხვადასხვა ფორმებზე: მეხსიერების განვითარებაზე, შტამპების და კლიშეების გამოყენებით დიალოგის წარმართვაზე, კითხვა-პასუხის სწრაფ რეაგირებაზე.

მოსწავლეებს ვთავაზობდი შეესრულებინათ შემდეგი სავარჯიშოები: ზეპირი კითხვა-პასუხი და მოცემული ტექსტებიდან გამომდინარე დიალოგების შედგენა. ამ ყველაფერთან ერთად ვცდილობდი სწავლება ყოფილიყო ინტერაქტიული, მოძრავი და ცოცხალი. ამისათვის ვიყენებდი სხვადასხვა თამაშებს. მაგალითად თამაში “ტრაბახა“. ეს თამაში უიოლებდა მოსწავლეს გრამატიკული მასალის ათვისებას.

This boy is a boaster. This is what he said.

- 1) Yesterday I cleaned my teeth in the morning, in the afternoon and in the evening.
- 2) Yesterday I washed my hands and face ten times.
- 3) Yesterday I helped my friends to do their homework.
- 4) Yesterday I played chess with a champion.
- 5) Yesterday I watched TV at night.
- 6) Yesterday I skated at the stadium.

დიალოგურ მეტყველების დროს მასტიმულირებელი კითხვებზე სწრაფი რეაგირებისათვის ვიყენებდით თამაშს „ ping -pong“. ეს თამაში არის დინამიური, მოსწავლეები სწრაფად ცვლიან ერთმანეთში კითხვა-პასუხს, რაც საშუალებას მაძლევდა მიმელო სწრაფი სასურველი შედეგი.

**Play a game «PING-PONG». (play tennis, play football, play basketball)**

– Do you like to **play badminton?**

– Yes, I do.

– Can you play it well?

– Yes, I can.

– Did you play it in summer?

– Yes, I did.

– Is it difficult to play it?

– No, it isn't.

– Will you teach me to play it?

– Yes, **it's my pleasure..**

თამაში „გამოიცანი“- მოსწავლეებს უვითარებდა მასტიმულირებელი კითხვების დასმის უნარს. ერთი მოსწავლე გადიოდა გარეთ , ხოლო დანარჩენები ჩაიფიქრებდნენ

რაიმე ნივთს ან მოქმედებას, ჩაფიქრებულის გამოსაცნობად კითხვები უნდა ყოფილიყო მარტივი: Is it a ...? What colour is it? Where is it? Is it large or small? What can we do with it? Etc.

შემდეგ ვაძლევდი რამდენიმე რეპლიკა-რეაქციას, მოსწავლეები ცდილობდნენ შეერჩიათ შესატყვისი ფრაზები- სტიმულები.

What places did you visit yesterday in London?

I went to the London Eye.

I went to Buckingham palace.

I went to Piccadilly Circus.

I went to Madam Tussauds Wax Museum.

შემდეგ ვთხოვე მოსწავლეებს დაემატებინათ ერთი ან ორი რეპლიკა-სტიმული.

The weather was fine. I wanted to have a ride. I went to the London Eye.

I wanted to see her Majesty Queen Elizabeth. I went to Buckingham palace.


I wanted to take photos with famous people. I went to Madam Tussauds Wax Museum.

## **6.2 ინტერვენციის საკონტროლო ეტაპის ანალიზი**

ამ ინტერვენციის საკონტროლო ეტაპზე მოსწავლეებმა შეასრულეს იგივე სავარჯიშოები, რაც საწყის ეტაპზე. შეფასების კრიტერიუმები მქონდა ისეთივე როგორც საწყის ეტაპზე. შეფასებისას გამოვლინდა, რომ ბავშვების დილოგური მეტყველების შესაძლებლობები რამდენადმე გაუმჯობესდა.


ამდენად საკონტროლო ექსპერემენტის მონაცემების მიხედვით დიალოგური მეტყველების მაღალმა დონემ შეადგინა 30%, საშუალო 40%, დაბალი -26%

# საკონტროლო ეტაპი



ექსპერემენტის საწყისი და საკონტროლო შედეგების შედარებამ მოგვცა ამგვარი სურათი:

## მონაცემთა ანალიზი



მაჩვენებლების დინამიკა ცხადყოფს რომ ჩატარებული სამუშაო იყო ეფექტური. ჩემს მიერ ჩატარებულმა სამუშაომ, რომელის ეყრდნობოდა ცნობილი ლინგვისტის ე. ნ. სალავოვის მეთოდს, მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ჩემი მოსწავლეების დიალოგური მეტყველების უნარი თუმცა ეს კლიშეები მექანიკური სახისაა, შესაბამისად ბავშვები ამ კლიშეებს რთულად იმახსოვრებენ რადგან მხოლოდ მზა დიალოგებითა და სამეტყველო მაგალითებით შეუძლებელია დიალოგური მეტყველების დაუფლება. იმისათვის რომ მიმელო დაგეგმილი შედეგი და ნამდვილი კომუნიკაციის პირობების შემექმნა, აუცილებელ იყო ხელოვნურად შემექმნა გარემო რეალური ურთიერთობისათვის.

ამიტომ აუცილებლად მივიჩნევ არატრადიციული მიდგომის საშუალებით კერძოდ, ზღაპრის ინსცენირებით მოსწავლეთა მიერ ათვისებული მასალის ხელოვნურად შექმნილ რეალურ სივრცეში გადმოტანა. ასე დაიბადა შემდეგი ინტერვენცია :  
**კლასგარეშე სამუშაო** -ზღაპარ 'კონკიას' ინსცენირება. ( დანართი 6)

ამ სპექტაკლის საშუალებით მსურდა მორცხვი მოსწავლეებისათვის მიმეცა სტიმული, დამენახვებინა სიმორცხვე და შიშის დაძლევის გზები, რათა გათავისუფლებულიყვნენ ფსიქოლოგიური და საკომუნიკაციო კომპლექსებისაგან, აღმოეჩინათ საკუთარ თავში ახალი შესაძლებლობები.

### **6.3 სპექტაკლზე მუშაობის ეტაპები:**

ზღაპრის გაცნობა: ლექსიკური და გრამატიკული მასალის გარჩევა.

#### **1 თამაშები:**

ამ ეტაპზე შევთავაზე მოსწავლეებს ფანტაზიის ჩართვა და ზღაპრის გმირების პერსონაჟების განსახიერება -მათი მოძრაობა, სიარული, ჟესტიკულაცია, ინტონაციით ლაპარაკი, მიმიკა..

#### **2 ეტიუდები:**

ეტიუდი-მეორე აქტიური ეტაპია, რომელშიც მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ სიტუაციები პერსონაჟების როლში. ამის შემდეგ მე მათ დამოუკიდებლად მოქმედებას საშუალება ვაძლევდი.

#### **3 როლების გადანაწილება.**

4 ენობრივი სირთულეების დაძლევის ეტაპი: აქ აუცილებელია ყველა მონაწილეს ესმოდეთ ერთმანეთის რეპლიკები.

**5 ინდივიდუალური მუშაობის ეტაპი:** ამ ეტაპზე ვმუშაობდი თითოეულ ბავშვთან მხატვრული კითხვის კუთხით.

**6 პირველი რეპეტიცია-** მოსწავლეები ინტონაციის საშუალებით ავსებენ თავიანთ როლებს აზრით და ემოციებით. ამ ეტაპზე სასურველი იყო მათ დაემახსოვრებინათ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ მეგობრების რეპლიკებიც.

**7 დამუშავება -** საჭირო მომენტებში ვაჩერებდი მოქმედებას და თავიდან ვიმეორებდით რეპლიკებს.

## **8 რეპეტიცია**

## **9 გენერალური რეპეტიცია**

## **10 პრემიერა**

სპექტაკლზე ორთვიანი მუშაობის პერიოდში ვცდილობდი შემექმნა კეთილგანწყობილი ატმოსფერო. ყოველ რეპეტიციას ვიღებდით ვიდეოს და რეპეტიციის ბოლოს ერთად განვიხილავდით მიღებულ შედეგს.

მინდა შემოგთავაზოთ ჩემს მიერ დაწერილი ზღაპრის სცენარი ინგლისურ ენაზე.

## **იხ. დანართი**

## **6.4 შესრულებული კლასგარეშე სამუშაოს-სპექტაკლის”კონკიას’ პრაქტიკული შედეგების ანალიზი.**

სპექტაკლში მონაწილეობა მიიღო მთელმა კლასმა -(22 მოსწავლე ). სპექტაკლის პრემიერა დავამთხვიეთ ინგლისური კვირეულის დღეებს. მოწვეული იყვნენ მშობლები და კოლეგები, ასევე მეორე კლასის მოსწავლეები. სპექტაკლის შემდეგ

მეხუთეკლასელებმა შესთავაზეს თამაში მეორეკლასელებს, რათა ყველას მისცემოდა საშუალება ჩართულიყო ინგლისურენოვან რეალურ ურთიერთობაში. ჩატარებული ღონისძიების შედეგები შეგიძლიათ იხილოთ ამ გვერძე

<https://youtu.be/IblH6vvh79s>

<https://youtu.be/IIO5rhj32dM>

სპექტაკლის შემდეგ ჩავატარე გამოკითხვა. შედეგები იყო ასეთი:

- 100% -ს მოეწონა სპექტაკლში მონაწილეობა.

-63%-მა თქვა რომ გათავისუფლდა კომპლექსებისგან.

-75% -მა განაცხადა, რომ უფრო ხშირი, მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა თანაკლასელებთან.

- 70 %-მა განიცადა ლექსიკურ-გრამატიკული მარაგის ამაღლება.

გამოკითხულთა შორის ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ დაკისრებულ მოვალეობას თავი სრულად გაართვა. კითხვაზე გინდა თუ არა ასეთ ღონისძიებაში კიდევ მონაწილეობის მიღება, 100%-მა დადებითად უპასუხა. მოსწავლეთა უმრავლესობამ კარგად აითვისა გრამატიკული ფორმაა “Past Simple”, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა სცენარში, ისწავლეს ახალი სიტყვები, ასევე გაუმჯობესეს გამოთქმა. ჩემს მიერ დაგეგმილმა სამუშაო ეტაპებმა ბავშვებს მნიშვნელოვნად გაუიოლა რეპეტიციები.

სპექტაკლის ანალიზის დროს ბავშვებს შევთავაზე თვითშეფასების კითხვარი, ამ კითხვარის საშუალებით მათ თავად უნდა შეეფასებინათ თავიანთი შესაძლებლობები, და ის უნარები, რომლებიც ამ 2 თვის მანძილზე შეიძინეს.

(დანართი 5)



ამდენად ენობრივი ღონისძიების ჩატარების გამოცდილებამ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად, რადგან ყველა დაგეგმილი მიზანი იყო მიღწეული. მოსწავლეები ხალისით ჩაერთვნენ დიალოგში, მოეხსნათ ყოველგვარი კომპლექსი ამ თბილ მეგობრულ გარემოში. სპექტაკლის დასრულების შემდეგ ბავშვებს გადავეცი პრიზები და დიპლომები. მიზანი იყო ის, რომ კიდევ ერთხელ წაგვეხალისებინა მსგავს სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად.

| კითხვები   | დიახ | არა | ნაწილ. | თავი შეიკავა | სულ |
|--|------|-----|--------|--------------|-----|
| ლექსიკური და გრამატიკული მარაგის ამადლებაში.             | 16   |     | 4      | 2            | 22  |
| მეტყველების და წარმოთქმის განვითარებაში.                 | 16   |     | 5      | 1            | 22  |
| ენობრივი ბარიერის გადალახვაში და კომპლექსების დაძლევაში. | 12   | 5   | 2      | 3            | 22  |
| კომუნიკაციური უნარების განვითარებაში.                    | 9    | 3   | 7      | 3            | 22  |
| პასუხისმგებლობის გაზრდაში.                               | 22   |     |        |              | 22  |
| ემოციურ განვითარებაში.                                   | 15   |     | 5      | 2            | 22  |
| საკუთარ თავში ახალი თვისებების აღმოჩენაში.               | 20   |     | 2      |              | 22  |

|   |    |   |  |   |    |
|---|----|---|--|---|----|
|   |    |   |  |   |    |
| კლასელებთან და მასწავლებლებთან დაახლოებაში. | 15 | 2 |  | 5 | 22 |

პრაქტიკული კვლევის დასრულებისას უცხო ენის კათედრაზე წარმოვადგინე მისი პრეზენტაცია.

თავი VII კვლევის ვადა- ექვსი თვე (დეკემბერი- მაისი)

### 7.1 კვლევის ვადები:

| აქტივობა                  | დეკემბერი | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი |
|---------------------------|-----------|---------|-----------|-------|--------|-------|
| პრობლემის იდენტიფიცირება  | ✓         |         |           |       |        |       |
| კვლევის გეგმის შემუშავება | ✓         |         |           |       |        |       |
| კითხვარების შედგენა       | ✓         |         |           |       |        |       |
| კოლეგებთან შეხვედრა       |           |         |           |       |        |       |
| ლიტერატურის მიმოხილვა     |           | ✓       |           |       |        |       |
| მოსწ. ანკეტირება          |           | ✓       |           |       |        |       |
| მონაცემების ანალიზი       |           | ✓       |           |       |        |       |

|  |  |   |   |   |   |   |
|--|--|---|---|---|---|---|
| ინტერვენციის<br>დაგეგმვა                       |  |   | ✓ |   |   |   |
| ინტერვენციების<br>განხორციელება                |  |   | ✓ | ✓ | ✓ |   |
| დაკვირვება                                     |  | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |   |
| სპექტაკლის<br>ჩვენება                          |  |   |   |   | ✓ |   |
| ინტერვენციების<br>ანალიზი                      |  |   |   |   | ✓ |   |
| კვლევის<br>შედეგების<br>ანალიზი<br>და წარდგენა |  |   |   |   |   | ✓ |

## 7.2 კვლევის მიგნებები:

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება:

- 1) მოსწავლეები არასაკმარის დროს უთმობდნენ ინგლისურ ენაზე ურთიერთობას.
- 2) მიღებულ ცოდნას არასაკმარისად იყენებდნენ პრაქტიკაში.
- 3) მოსწავლეები ნაკლებად ფლობდნენ დიალოგის მართვის ხელოვნებას
- 4 არ შეეძლოთ დიალოგის რეჟიმში თანამოსაუბრის კითხვის გააზრება და პასუხის ჩამოყალიბება.

## 7.3 რეკომენდაციები

- სასურველია დიალოგური კლიშეების შესწავლა და მათი წარმოთქმა შესაბამისი ემოციებით.
- ხელოვნურად შევქმნათ ინგლისურენოვანი გარემო , სადაც შევძლებთ ამ კლიშეების გამოყენებას. კერძოდ, შევთანხმდეთ მეგობართან რომ კვირაში იყოს ერთი ინგლისური დღე სადაც ბავშვები ისაუბრებენ ინგლისურად , ნახავენ ფილმს ინგლისურ ენაზე და მოუსმენენ სიმღერებს.
- ბავშვები უნდა შეეცადონ იაზროვნონ ინგლისურ ენაზე. არ თარგმნონ წაკითხული ტექსტი სიტყვა სიტყვით, არამედ შეეცადონ გაანალიზონ ძირითადი აზრი
- გაამრავალფეროვნონ ინგლისური ენის ათვისების რესურსები.
- სკოლის ფარგლებში შეიქმნას ინგლისურენოვანი დრამატული წრე.

#### 7.4 კვლევის ნაკლოვანებები

პრაქტიკული კვლევის ნაკლოვანებად მიმაჩნია ის რომ ვერ მოვახერხე მშობლების აქტიური ჩართვა ინტერვენციების განხორციელებაში. მშობლების მხარში დგომა ბავშვებისათვის იქნებოდა მეტად წამახალისებელი და დადებითი შედეგებიც უფრო მაღალი იქნებოდა.

#### 7.5 დასკვნა

პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შემიძლია გამოვიტანო დასკვნა რომ მან ხელი შეუწყო მოსწავლეებს სამეტყველო უნარ-ჩვევის განვითარებაში. ამასთან მინდა აღვნიშნო, რომ ყველაზე შედეგიანი კლასგარეშე სამუშაოს ორგანიზება იყო, რომლის შედეგად:

- სასწავლო პროცესი უფრო საინტერესო გახდა.
- შეიქმნა უცხოენოვანი გარემო.
- შეიქმნა მორალურ-ფსიქოლოგიურად პოზიტიური გარემო.
- მოსწავლეებს ერთმანეთისადმი კეთილგანწყობა ჩამოუყალიბდათ .

- მოსწავლეებმა გაიაზრეს სოციოლოურ-საზოგადოებრივი ერთიანობის მნიშვნელობა.
- ამაღლდა თითოეული მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობა.

ჩატარებულმა პრაქტიკულმა კვლევამ ცხადყო ჩემი ჰიპოთეზის მართლზომიერება, რომ უცხო ენის სწავლების პროცესში დიალოგური კლიშეების გამოყენებით ზღაპრის ინსცენირება და მოდელირება საშუალებას მოგცემს, ერთის მხრივ, გავზარდოთ დიალოგური მეტყველების სწავლების ეფექტურობა, ხოლო, მეორე მხრივ, მოსწავლეებს მოვუხსნათ ენობრივი ბარიერი.

მაშასადამე, დიალოგური მეტყველების კლიშეების სისტემატიური გამოყენება, რეალური სიტუაციის მოდელირება როლური თამაშის დროს და კლასგარეშე ღონისძიების ორგანიზება ხელს უწყობს დიალოგური მეტყველების უნარების გაუმჯობესებას.

## ბიბლიოგრაფია

### გამოყენებული ლიტერატურა

[https://eterikituashvili1.blogspot.com/2015/10/blog-post\\_14.html](https://eterikituashvili1.blogspot.com/2015/10/blog-post_14.html)

<http://mastsavlebeli.ge/?p=13339>

<https://moluch.ru/conf/ped/archive/20/1289/>

[https://studwood.ru/1341336/literatura/puti\\_obucheniya\\_dialogicheskoy\\_rechi](https://studwood.ru/1341336/literatura/puti_obucheniya_dialogicheskoy_rechi)

<https://multiurok.ru/files/obuchieniie-dialoghichieskoi-riechi-na-urokakh-ang.html>

<file:///C:/Users/STUDENT/Downloads/Методика%20обучения%20иностранным%20языкам%20Соловова%20Е.Н..pdf>

## რეფლექსია.

ჩემს მიერ ჩატარებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ ინგლისური ენის გაკვეთილზე მოსწავლეთა ნაკლები ჩართულობა ზეპირმეტყველების დროს გამოწვეულია იმით, რომ მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ საშუალება პრაქტიკულად გამოიყენონ სკოლაში მოღებულ ცოდნა.

პრაქტიკული კვლევის მიზანი იყო ის, რომ ხელოვნურად შემექნა გარემო, სადაც ბავშვები იგრძნობდნენ თავისუფლებას, არ იქნებოდნენ საგაკვეთილო ფორმატიგან დათრგუნულნი, მაქსიმალურად გამოიყენებდნენ მიღებულ ცოდნას და აღმოაჩენდნენ საკუთარ თავში დაფარულ თვისებებს.

სწავლისადმი არატრადიციულმა მიდგომამ შედეგად მომცა ის, რომ ბავშვების უმეტესობას მოეხსნა კომპლექსები, განთავისუფლდნენ თავდაუჯერებლობის გრძნობისაგან, რომელიც ხელს უშლიდა მათ ესაუბრათ ინგლისურ ენაზე.

ყველაზე საინტერესო იყო დაკვირვება თუ როგორ პოულობდნენ კომპლექსებისაგან გათავისუფლებული მოსწავლეები საკუთარ თავში დაფარული ცოდნას. ვგულისხმობ იმას, რომ კრიტიკულ სიტუაციაში ისინი მიმართავდნენ იმპროვიზაციას.

კვლევაში გამოყენებული მეთოდები და ლიტერატურა მიმართული იყო არა მხოლოდ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებისათვის, არამედ ცოცხალი სასაუბრო მეტყველების უნარების განვითარებისათვის რეალურ ცხოვრებაში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე გარკვეული რეკომენდაციები პედაგოგებისთვის, რომლებიც დახმარებას გაუწევს ბავშვების საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის გაზრდაში, და საგაკვეთილო პროცესის ისეთ მართვაში, რომლის დროსაც მოსწავლეებს გაუადვილდება ახალი მასალის ათვისება.

გამოცდილების გაზიარების მიზნით, დასრულებული პრაქტიკული კვლევა უცხო ენების კათედრაზე წარვადგინე. პედაგოგები გაეცნენ იმ მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომლებიც დაეხმარებათ მათ ინტერაქტიული გაკვეთილების წარმართვაში და ასევე კლასგარეშე მუშაობის ორგანიზების დროს.

## დანართი 1

მოგესალმებით კოლეგებო! როგორ თქვენთვის უკვე ცნობილია, ვატარებ პრაქტიკულ კვლევას ინგლისურ ენაში, დიალოგიური მეტყველების გასაუმჯობესებლად. თქვენი პროფესიონალური გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმართვისთვის.

### საუბრის შეკითხვები:

1. თქვენი აზრით რა უშლის ხელს მოსწავლეებს დიალოგიურ მეტყველების განვითარებას?
2. იყენებენ თუ არა მოსწავლეები ნასწავლ ლექსიკურ და გრამატიკურ კონსტრუქციებს საუბრის დროს და გადადიან თუ არა მშობლიურ ენაზე?
3. თქვენ როგორ მუშაობთ მოსწავლეების დიალოგიური მეტყველების უნარის განვითარებაზე?
4. რას მიიჩნევთ დიალოგიურ მეტყველების პრობლემის გაუმჯობესების გზად?

როგორც აღმოჩნდა მსგავსი სირთულეებია პარალელურ კლასებშიც. გასაუბრების შედეგად გამოაშკარავდა ძირითადი ფსიქოლოგიური ფაქტორები, კერძოდ:

- შეცდომის დაშვების შიში
- დისკომფორტი ინგლისურად მეტყველებისას
- მოტივაციის არქონა
- არაუცხოენოვანი გარემოში პრაქტიკის დეფიციტი
- მოსმენის უნარის ნაკლებობა
- მხატვრული ლიტერატურის არასაკმარისი კითხვა
- არასათანადო რეაგირება ურთიერთობის დროს

**საუბრის შინაარსი:**1 ნინო მეტრეველი მიიჩნევს რომ, დიალოგურ მეტყველების უნარის განვითარებაზე მუშაობა აუცილებელია ყოველ გაკვეთილზე. მის გაკვეთილებზე მიმდინარეობს მუშაობა მოსწავლეთა სიტყვების მარაგის გამდიდრებაზე, თუმცა, ამავე დროს, ის ცდილობს შეამოწმოს არა მხოლოდ კონკრეტული სიტყვის ცოდნა, არამედ ასწავლოს მოსწავლეებს მისი წინადადებაში სწორად გამოყენება.

2 ნინო ჩადუნელის აზრით დიალოგიური მეტყველების განვითარებისათვის, ტრადიციული სამუშაოთა ფორმების გარდა, საჭიროა ასევე არატრადიციული ფორმების გამოყენება.

3 ანა მაისურაძე მუშაობს დიალოგებზე და შემდგომ მათ საფუძველზე მოსწავლეები დამოუკიდებლად ადგენენ საკუთარ დიალოგებს წყვილებში. ინგლისურ კათედრაზე დიდი ყურადღება ექცევა დიალოგიურ მეტყველების უნარის განვითარებას. განხილვა იყო მოცულობითი და ეფექტური. ვთვლი რომ, ასეთი შეხვედრები და თანამშრომლობა ხელს უწყობს კათედრის პროფესიონალურ ზრდას.

## **დანართი 2**

**დიალოგის დროს მიჭირს საუბარი რადგან:**

**1 ვერ ვასწრებ თანამოსაუბრის კითხვის ინგლისურად გააზრებას.**

ა ყოველთვის                      ბ ზოგჯერ                      გ არასოდეს

**2 არ მყოფნის სიტყვები აზრის გამოსათქმელად**

ა ყოველთვის                      ბ ზოგჯერ                      გ არასოდეს

**3 მცხვენია**

ა ყოველთვის                      ბ ზოგჯერ                      გ არასოდეს

**4 მეშინია შეცდომის დაშვების**

ა ყოველთვის                      ბ ზოგჯერ                      გ არასოდეს

**5 სწრაფად მავიწყდება ნასწავლი სიტყვები და ვერ ვიხსენებ საჭირო დროს**



ა ყოველთვის                                ბ ზოგჯერ                                გ არასოდეს

6 არამშობლიურ ენაზე საუბრის დროს ვგრძნობ დისკომფორტს

ა ყოველთვის                                ბ ზოგჯერ                                გ არასოდეს

7 არ მჯერა საკუთარი შესაძლებლობების

ა ყოველთვის                                ბ ზოგჯერ                                გ არასოდეს

8 ვგრძნობ კომუნიკაციის გამოცდილების ნაკლებობას

ა ყოველთვის                                ბ ზოგჯერ                                გ არასოდეს

9 ინგლისურის გაკვეთილის გარდა ვსაუბრობთ მეგობრები ინგლისურ ენაზე

ა ყოველთვის                                ბ ზოგჯერ                                გ არასოდეს

10 ოჯახის წევრებთან ვსაუბრობ ინგლისურ ენაზე

ა ყოველთვის                                ბ ზოგჯერ                                გ არასოდეს

11 მცხვენია გამოვთქვა საკუთარი აზრი უცხო ენაზე.

ა ყოველთვის                                ბ ზოგჯერ                                გ არასოდეს

1 თვლით თუ არა რომ აუცილებელია ინგლისური ენის შესწავლა?

კი/არა

2 ყოველთვის შეგიძლია თუ არა თქვენი აზრის გამოხატვა ინგლისურის გაკვეთილზე

კი/არა

მიზანი: 5 კლასის მოსწავლეების დიალოგიური მეტყველების უნარის დონის გამოვლენა

| გვარი და<br>სახელი | დაკვირვების კრიტერიუმები |                   |  |   |   |   |                                       |
|--------------------|--------------------------|-------------------|--|---|---|---|---------------------------------------|
|                    | ჩაერთა<br>დიალოგში       | იყენებს<br>ნიმუშს | ყველაფერს<br>ასრულებს<br>დამოუკი<br>დებლად | გრამატი<br>კულად<br>სწორად<br>ადგენს<br>წინადა<br>დებას | სწრა<br>ფად<br>რეაგი<br>რებს<br>რეპლი<br>კაზე | თითონ<br>ირჩევს<br>ურთი-<br>ერთ<br>ობის<br>სტრატე<br>გიას | შეუძლია<br>დიალოგის<br>გაგრძელ<br>ება |
| 1.                 | -                        | -                 | -  | -   | -   | -   | -                                     |
| 2.                 | +                        | -                 | -  | -   | -   | -   | -                                     |
| 3.                 | +                        | +                 | -  | -   | -   | -   | -                                     |
| 4.                 | -                        | -                 | -  | -   | -   | -   | -                                     |
| 5.                 | +                        | +                 | + -  | -   | -   | +   | +                                     |
| 6.                 | -                        | -                 | -  | -   | -   | -   | -                                     |
| 7.                 | -                        | -                 | -  | -   | -   | -   | -                                     |
| 8.                 | -                        | -                 | -  | -   | -   | -   | -                                     |
| 9.                 | +                        | -                 | -  | -   | -   | -   | -                                     |
| 10.                | +                        | +                 | +  | +   | +   | +   | +                                     |
| 11.                | +                        | +                 | -  | -   | -   | -   | +                                     |
| 12.                | -                        | +                 | + -  | -   | -   | +   | -                                     |
| 13.                | -                        | -                 | -  | -   | -   | -   | -                                     |
| 14.                | +                        | +                 | + -  | -   | +   | +   | +                                     |
| 15.                | -                        | -                 | -  | -   | -   | -   | -                                     |
| 16.                | -                        | -                 | -  | -   | -   | -   | -                                     |

|     |     |     |   |   |   |     |     |
|-----|-----|-----|---|---|---|-----|-----|
| 17. | +   | +   | + | + | + | +   | +   |
| 18. | +   | +   | + | + | + | +   | +   |
| 19. | +   | +   | + | + | + | +   | +   |
| 20. | +   | -   | - | - | - | + - | +   |
| 21. | + - | -   | - | - | - | + - | +   |
| 22. | + - | + - | - | - | - | -   | + - |

- + ნიშნები მჟღავნდება.
- +/- ნიშნები სუსტად მჟღავნდება.
- ნიშნები საერთოდ არ მჟღავნდება

#### დანართი 4

კლასი \_\_\_\_\_

#### სპექტაკლის შემდეგ მიღწეული შედეგების ანალიზი.

##### 1წარმოდგენაში მონაწილეობა დამეხმარა :

- |  |        |
|--|--------|
| 1 ლექსიკური და გრამატიკული მარაგის ამაღლებაში. | კი/არა |
| 2 მეტყველების და წარმოთქმის განვითარებაში.     | კი/არა |
| 3 ენობრივი ბარიერის გადალახვაში.               | კი/არა |
| 4 კომუნიკაციური უნარების განვითარებაში.        | კი/არა |
| 5 კომპლექსების დაძლევაში.                      | კი/არა |
| 6 თავდაჯერებულებაში.                           | კი/არა |
| 7 საკუთარ თავში ახალი თვისებების აღმოჩენაში.   | კი/არა |

8 კლასელებთან და მასწავლებელთან დაახლოებაში.

კი/არა

9 პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაში.

კი/არა

10 ემოციურ განვითარებაში.







კი/არა

დანართი 5

მოსწავლეების თვითშეფასების კრიტერიუმები

**Progress Report Card**

My name is \_\_\_\_\_

|  |  |
|--|--|
| <b>Cinderella</b>  |  |
| <b>My role in this tale/ ზღაპარში</b><br>შესრულებული ჩემი როლი |  |
| <b>I can/მე შემიძლია ... (აღნიშნე)</b>                         | <ul style="list-style-type: none"> <li>• საუბრის დაწყება/დასრულება</li> <li>• ლექსიკის გამოყენება მოცემულ გარემოში</li> <li>• გრამატიკული კონსტრუქციების გამოყენება</li> <li>• გამოთქმა ინტონაციით.</li> </ul>   |
| <b>My work is/ ვაფასებ ჩემს სამუშაოს...</b>                    | OK  Good   Excellent    |

უპასუხეთ კითხვებს.

1 ისურვებდი მსგავს ღონისძიებაში კიდევ მონაწილეობას? რატომ?

\_\_\_\_\_

2 რა თვისებები აღმოაჩინე საკუთარ თავში? \_\_\_\_\_

3 რით დაგამახსოვრდა შენი როლი? \_\_\_\_\_

4 როგორ შეაფასებდი საკუთარ თავს ამ როლში? \_\_\_\_\_

დანართი 6

**Scenario: Cinderella**

**Host I:** Ladies and gentlemen, welcome to our party. The members of our “Disney Club” will represent the school-play “Cinderella, dreams come true.”

**Host II** There is perhaps no better loved, no more universal story than “Cinderella. “It’s one of the most popular tales in the world and all children like it very much.” We hope you will enjoy what we have done.

**Host 1 and 2** Let’s have party! Real fun with real friends! What can be better?

**Storyteller:** Once upon a time there was Cinderella. Her mother died many years ago and her father married another woman. She was a widow with two daughters. Cinderella’s stepmother with two stepsisters didn’t like her. They were very unkind to Cinderella.

**SCENE I**

Cinderella is cleaning the floor. Her Stepsisters are sitting in the armchairs.

Stepsisters: one potato, two potatoes, three potatoes four,

Stepmother: Cinderellaaaa, Where are you? Come here!!!!

Stepsister 1: Cinderella, wash the dishes. Hurry up!

Stepsister 2: Cinderella, Where’s my comb?

**Storyteller:** One day, beautiful dresses arrived at the house

**Dresses:** ‘There will be a ball in the king’s Palace.’

**Stepmother:** ‘Girls, girls we will go to the ball’. This is the invitation from the king.

**Stepsisters:** We will go to the ball (2)

**Cinderella:** May I go to the ball?

**Stepsister 1:** You haven't got beautiful dresses.

**Stepsister 2:** You haven't beautiful slippers.

**Stepmother:** You have got a lot to do at home.

**Stepmother:** You must wash the dishes, scrub the floor and turn down the beds for your sisters.

**NARRATOR1:** Cinderella started to cry but suddenly she saw a very beautiful woman. It was her Fairy Godmother. Cinderella went to the ball, and when she enters the palace everybody looked at her. And the prince danced only with her all night.

**Cinderella:** I have no dress, I have no slippers and I so want to go to the ball. Why must I stay in the kitchen with my old dress while my stepsisters dressed in silk? I want to see the prince.

**Storyteller:** Suddenly something amazing happened. In the kitchen there was a burst of light and a fairy appeared.

**Fairy:** My dear, I am your Godmother. I know you wish to go to the ball? And you shall!

**Cinderella:** How can I dressed in rags?

**Fairy:** Don't cry I can help you. One-two-three.

**Cinderella:** Thank you dear fairy I can go to the ball. I will see the prince.

**Fairy:** Don't forget at 12 o'clock you must be back. The coach the dress the slippers will disappear. The horses will become six mice again and the coachman will turn back into a mouse.do you understand?

**Cinderella:** Yes, I do!

## **Part 2**

The ball party. The king is coming on the stage singing a song and guests are dancing. And bowing with vans to each other.

**Herald:** Good evening, ladies and gentlemen! We are glad to see you at the royal ball! And now! Ladies and gentlemen! His Majesty Prince Charles! (prince is coming , everybody is bowing , prince is going to sit on the throne. Herald is introducing guests to prince.

**Herald:** Mademoiselle Stella de la Fountain!

Mademoiselle Diana de Puree!

Mademoiselle Isabella Bonkur!

Mademoiselle Anastasia de Brilli

The girls are bowing . Everybody is clapping

**Herald:** They are Pat and Liz with their mother Lady Sybil! (bowing and clapping)

**Prince Nika:** The ball is on! Please dance and play! Let's have a lot of fun today!

Pat and Liza are coming nearer to Prince and look at him laughing. But prince doesn't notice them he sees Cinderella:

**Guest:** Who is she? Who is she? She is so beautiful!

**Prince:** Who is that girl? She is so nice and smart...goes to Cinderella ,

**Prince:** May I dance with you?

**Cinderella.** With great pleasure.

**Prince.** You so beautiful! Who are you? Tell me, please. They start dancing. The king is singing and the clock is showing the time.

**NARRATOR 2:** Suddenly, Cinderella heard the clock strike and she remembered her Godmother's words: So, she ran and ran outside the palace, but she dropped one of her slippers. The Prince ran after her, but he didn't see her: Then he picked up the sleeper and said." I will find this beautiful girl and marry her".

The clock strikes

**Cinderella:** My time is over! It's twelve o'clock. I must run. Help me take off my slipper. Goodbye! Goodbye! I had a lot of fun!

**Prince:** Where are you running? Don't leave me, my darling! Don't break my heart, please. Her shoe is too tiny! You must find this girl! She will be my wife, I swear on my life! Ran from the stage.

### **Part III**

**NARRATOR 1:** The Prince went to town and looked for Cinderella in every house there was. The prince went to another house, and another one, and another one. He didn't find her. At last, he went to Cinderella's house.

**NARRATOR 2:** Cinderella's sisters Pat and Liz tried to put on the slipper but they couldn't. They were very clumsy. Suddenly Cinderella appeared with her pretty dress, and once again she looked very beautiful.

It's morning. Somebody knocks on the door.

**Stepsisters:** Cinderellaaaaa, open the doooooor.

**Stepmother:** Cinderella! Open the door!

**Herald:** In the name of the king! We know you were at the ball.

Let your daughters try on this glass shoe! Please!

**Stepmother:** Yes, of course.

**Pat:** Oh, it's very small!

**Liz:** It's very small for me, too!

**Herald:** And what about your third daughter?

She is so slim!

**Stepmother:** But she didn't go to the ball! She is Cinderella, and that is all!



*(with surprise)*

**Herald:** Come here and please take it!

**Cinderella:** Let me try it on, stepmother. *(is putting the slipper on)*

**Cinderella:** I've got another one. *(showing it)*

**Pat and Liz:** You were that wonderful lady.

**Stepmother:** Weren't you?

**Herald:** The Prince is waiting for you as you know. Be quick, Cinderella. Les' s go!

**Cinderella: (to sisters)** Don't be angry with me! Don't cry! Goodbye!

**Prince:** I want to say I love you *(kissing Cinderella's hand)*

**Cinderella:** Oh, my Prince! I'm happy today!

**NARRATOR 1,2:** And now Cinderella and the Prince lived happily in the palace for many, many, many years.